

<b>სწავლების საფეხური</b>	<b>პროფესიული</b>
<b>სპეციალობა</b>	აგრარული ტექნიკის მექანიკოსი
<b>პროგრამის ტიპი</b>	აკადემიური
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>	იური ძირკვაძე, სრული პროფესორი რომან მარგალიტაძე - ასისტენტ პროფესორი
<b>მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი</b>	აგრარული ტექნიკის მექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
<b>სწავლების ფორმა</b>	დღის სწავლება
<b>პროგრამის მოცულობა</b>	45 კრედიტი
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>	პროგრამაზე სასწავლებლად დაიშვება პირი, რომელსაც გავლილი აქვს ამ პროგრამის II საფეხური ან წარმოადგენს შესაბამისი პროფესიული განათლების აღიარების დოკუმენტს.
<b>სწავლების ენა</b>	ქართული
<b>სწავლების ფორმატი</b>	ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო, საწარმოო პრაქტიკა, ინდივიდუალური მუშაობა
<b>საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა და მიზანი</b>	<p>უზრუნველყოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სოფლის მეურნეობის და კონკრეტულად საინჟინრო დარგის ინოვაციური და შემოქმედი პრაქტიკოსის ჩამოყალიბება. მისცეს სტუდენტს საინჟინრო დარგის მართვისა და მექანიზირებული სამუშაოების განხორციელების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა. მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც შეეძლება დამოუკიდებლად შეასრულონ მარტივი სახის ტექნიკური სამუშაოები მანქანათა ტექნიკური მომსახურების, რემონტის საქმეში და დაეხმარებათ სპეციალისტებს სამანქანო ტექნოლოგიების შესრულებაში. მიიღონ ისეთი უნარ-ჩვევები, რაც დაეხმარება მათ მთელი ცხოვრების მანძილზე მოახდინოს ადაპტირება სწრაფად ცვლად შრომის ბაზარზე და შეძლონ სწავლის გაგრძელება უფრო მაღალი კვალიფიკაციის მისაღებად.</p> <p>აგრარული ტექნიკის მექანიკოს შეუძლია შეასრულოს შემდეგი სახის სამუშაოები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- თეორიული ცოდნის საფუძველზე შეუძლია შეასრულოს აგრარული ტექნიკის კვანძების და მექანიზმების სერვისი, აღმოფხვრას არსებული უწყესივრობანი ;</li> <li>-იცოდეს ლითონთა შედუღების სახეები და ხერხები, სახარატო და საზეინკლო სამუშაოების ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება ;</li> <li>-საკონცტრუქტორო მასალები და მათი შერჩევა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაკომპლექტების, ტექნიკური მომსახურების და მიმდინარე რემონტების დროს ;</li> <li>-ტექნოლოგიური პროცესების და ტექნიკური ექცპლუატაციის დროს საზეინკლო, საშემდუღებლო, მექანიკური სამუშაოების შესრულება და აღნიშნული სამუშაოების შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი ;</li> <li>-ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, გამოყენების, ტექნიკური მომსახურების და მათი უსაფრთხო ურთიერთობის წესებს.</li> </ul>

<p><b>სწავლის შედეგები და კომპეტენციები</b></p>	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება:</b> აქვს ცოდნა ცალკეული ტექნიკის, კერძოდ ტრაქტორების, ავტომობილების, მოტობლოკების, სასოფლო სამეურნეო მანქანა - იარაღების აგებულებასა და გამოყენებაზე, მათ სამუშაოდ მომზადებასა და რეგულირებაზე, იცის სასოფლო სამეურნეო მანქანა - იარაღების გამოყენების პირობებში მუშაობის უსაფრთხოების წესები.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</b> შეუძლია- ხელმძღვანელის დახმარებით და მითითებით მიღებული ცოდნა გამოიყენოს ტექნიკასთან მუშაობის დროს;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-აუცილებელი დონის სარემონტო სამუშაოების შესრულება;</li> <li>-სასოფლო სამეურნეო მანქანა - იარაღების მართვა;</li> <li>-სასოფლო სამეურნეო მანქანა - იარაღებზე ტექნიკური მომსახურების ჩატარება</li> </ul> <p><b>დასკვნის უნარი;</b> შეუძლია:- შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე გააკეთოს დასკვნა სამუშაოების გაუმჯობესების შესახებ.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-შესაბამისი ლიტერატურიდან პროფესიული ინფორმაციის მოძიება და კრიტიკული შეფასება და მათი შესრულების ოპტიმალური გზების დასახვა</li> </ul> <p><b>კომუნიკაციის უნარი:</b> შეეძლება ჯგუფთან ურთიერთობა და საკომუნიკაციო ტექნიკის გამოყენებით საჭირო ინფორმაციის მოპოვება.</p> <p><b>სწავლის უნარი:</b> აქვს საფუძველი სხვისი ხელმძღვანელობით სწავლის გაგრძელებისა უფრო მაღალი კვალიფიკაციის მისაღებად. შეეძლება ჯგუფთან ურთიერთობა და საკომუნიკაციო ტექნიკის გამოყენებით საჭირო ინფორმაციის მოპოვება.</p> <p>კომუნიკაცია მკაფიოდ და ეფექტურად, როგორც მშობლიურ ისე უცხო ენაზე. შეძლებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამოცანების შინაარსის გააზრებას, მის მიერ შესასრულებელ და შესრულებულ სამუშაოების შესახებ ანგარიშებისა და ჩანაწერების განხორციელება</p> <p><b>ღირებულებები:</b> იცნობს პროფესიული საქმიანობის დამახასიათებელ ღირებულებებს; უნივერსიტეტის ეთიკურ ნორმებს; იცის დარგის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სოფლად მოსახლეობის სამუშაო პირობების გაუმჯობესების შესახებ.</p>
<p><b>დასაქმების სფეროები</b></p>	<p>სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა სახის ფერმერული მეურნეობებში, სასოფლო - სამეურნეო ან დარგობრივი წარმოებებში.</p>
<p><b>აკადემიური რესურსი</b></p>	<p>პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის 1 სრული და 1 ასოცირებული პროფესორი, მოწვეული აკადემიური დოქტორები და პრაქტიკოსი ინჟინერ მექანიკოსები</p>
<p><b>მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</b></p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამას ანხორციელებს აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტი. ფაკულტეტი ფლობს სასწავლო - საცდელი ბაზას, აგროქიმია, ნიადაგმცოდნეობის და მექანიზაციის ლაბორატორიას.</p> <p>სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. პროგრამის რეალიზაცია შესაძლებელია უნივერსიტეტის ტექნიკურ ლაბორატორიაში და კერძო სახელოსნოებში.</p> <p>სასწავლო პრაქტიკის ორგანიზება სპეციალისტების მომზადების</p>

	<p>საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სპეციალიზირებულ კომპანიებში და ფერმერულ მეურნეობებში.</p>
<p><b>საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა</b></p>	<p>პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია. მოიცავს 45 კრედიტს. საიდანაც 25 კრედიტი ეთმობა ძირითადი დისციპლინებს, ხოლო სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასათვის გათვალისწინებულია 20 კრედიტი.</p> <p><b>სასწავლო კურსები</b></p> <p>უცხო ენა 4 კრედიტი  ქართული ენა, მეტყველების კულტურა 3 კრედიტი  ინფორმატიკა 3 კრედიტი  საკონსტრუქციო მასალები 5 კრედიტი  მანქანათა ნაწილები 5 კრედიტი  რემონტი, ტექნიკური მომსახურეობა და უსაფრთხოების საფუძვლები 5 კრედიტი  სასწავლო-სამეურნეო პრაქტიკა 20 კრედიტი</p>
<p><b>შეფასების სისტემა</b></p>	<p>(ადეკვატურია პროფესიული სტუდენტის კრედიტების გაანგარიშების წესში მითითებული შეფასების სისტემის) დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;</li> <li>• ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;</li> <li>• კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;</li> <li>• დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;</li> <li>საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;</li> </ul> <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.</p> <p>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p> <p>შეფასების ფორმა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შუალედური შეფასება</li> <li>• დასკვნითი შეფასება</li> </ul> <p>შეფასების მეთოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტესტი</li> <li>• ზეპირი გამოკითხვა</li> <li>• პორტფოლიო</li> <li>• ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი</li> <li>• დაკვირვება და დემონსტრირება</li> </ul>